პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა 5 მარტი 1978 წ. № 55 (17099) ფასი 2 კაპ.

ინტერნაციონალური თანამშრომლობა კოსმოსში

საერთაშორისო ეკიპაჟი საბჭოთა ორბიტულ კომპლექსში. 1978 წლის 3 მარტს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-28“, რომელსაც პილოტობს პირველი საერთაშორისო ეკიპაჟი ხომალდის მეთაურის, საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ალექსი გუბარევისა და მკვლევარი-კოსმონავტი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქის ვლადიმერ რემეკის შემადგენლობით, შეუპირაპირდა „სალუტ-6-„სოიუზ-27“ ორბიტულ კომპლექსს. სურათზე: კომპლექსში არიან ამხანაგები რომანენკო, გრეჩკო, გუბარევი და რემეკი.

სურათი მიღებულია ტელეკოსმოსური კავშირგაბმულობით (ბაკდეხ-საქინფორმი).

სპეციალური ცნობა

საერთაშორისო ეკიპაჟი საბჭოთა ორბიტული კომპლექსის „სალუტ-6“-„სოიუზ-27“-„სოიუზ-28“-ის ბორტზეა

1978 წლის 3 მარტს მოსკოვის დროით 20 საათსა და 10 წუთზე კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-28“, რომელსაც პილოტობს პირველი საერთაშორისო ეკიპაჟი ხომალდის მეთაურის, საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ალექსი გუბარევისა და მკვლევარი-კოსმონავტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქის ვლადიმერ რემეკის შემადგენლობით, შეუპირაპირდა „სალუტ-6“-„სოიუზ-27“ ორბიტულ კომპლექსს.

დედამიწისირგვლივ ორბიტაზე „სალუტ-6“-„სოიუზ-27“-„სოიუზ-28“ სამეცნიერო-საკვლევ კომპლექსში კვლევას ეწევა საერთაშორისო ეკიპაჟი — ამხანაგები რომანენკო, გრეჩკო, გუბარევი და რემეკი.

„სოიუზ-28“- ხომალდის შეპირაპირებისა და სადგურის საბგრეკტან ნაკვეთურში მდებარე შესაპირაპირებელი კვანძის ჰერმეტულობის შეწმენდის შემდეგ ამხანაგები გუბარევი და რემეკი „სალუტ-6“ სადგურში გადავიდნენ. აქამდე ამ კვანძს შეუპირაპირდნენ პილოტირებული ხომალდი — „სოიუზ-26“ და უპილოტო ხატვირთო ხომალდი.

მიახლოების, შეპირაპირებისა და გადასვლის ყველა ეტაპზე კოსმოსური ხომალდისა და ორბიტული სადგურის ეკიპაჟები ზუტად, აწყობილად და სრული ურთიერთგაგებით მოქმედებდნენ.

კოსმონავტთა საერთაშორისო ეკიპაჟის სამუშაოთა პროგრამა ითვალისწინებს ერთობლივი მეცნიერულ-ტექნიკური კვლევისა და ექსპერიმენტების მოწყობას „სალუტ-6“-„სოიუზ-27“-„სოიუზ-28“ სამეცნიერო-საკვლევ კომპლექსში ზვიდი დღის მანძილზე.

კერძოდ, დაგეგმილია დედამიწისა და ოკეანის ზედაპირის დაკვირვება და ფოტოგრაფირება, სამედიცინო-ბიოლოგიური და ტექნოლოგიური ექსპერიმენტები.

ამხანაგები რომანენკო, გრეჩკო, გუბარევი და რემეკი თავს კარგად გრძნობენ. „სალუტ-6“-„სოიუზ-27“-„სოიუზ-28“ კოსმოსური კომპლექსის ყველა საბორტო სისტემა ნორმალურად მუშაობს.

საბჭოთა ადამიანები ამაყობენ სამამულო კოსმონავტიკის მიღწევებით, იმით, რომ სულ უფრო ვითარდება სსრ კავშირის თანამშრომლობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან პროგრამისა, მთელი მსოფლიოს ადამიანთა ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის.

„სალუტ-6“-„სოიუზ-27“-„სოიუზ-28“ საერთაშორისო ეკიპაჟი მუშაობს

ფრენის მართვის ცენტრი, 4 მარტი. (საკდეხი). ფრენას განაგრძობს კოსმოსური სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსი „სალუტ-6“-„სოიუზ-27“-„სოიუზ-28“. იური რომანენკოს, გიორგი გრეჩკოს, ალექსი გუბარევისა და ვლადიმერ რემეკის დღეს სამუშაო დღე დილის 10 საათზე დაიწყოთ. ხაუზისა და კომპლექსის საბორტო სისტემების შემოწმების შემდეგ კოსმონავტები შეუდგნენ დასახულ სამუშაოთა შესრულებას.

დღის პროგრამაშია სამედიცინო და ბიოლოგიური კვლევა, ტექნოლოგიური ექსპერიმენტი, ფიზიკური ვარჯიში, კინოფოტოგადაღება, ტელეფოტორეპორტაჟები.

საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერების მიერ ერთად შემუშავებული ტექნოლოგიური ექსპერიმენტის „მორავა“ მოსაწყობად კოსმონავტებმა საკვლევნივთიერებიანი კაფსულა ჩადეს „შენადნობის“ დანადგარის ელექტროსახურებელ კამერაში.

სამედიცინო ექსპერიმენტების პროგრამის შესაბამისად „სოიუზ-28“ ხომალდის ეკიპაჟმა მოაწყო გულ-სისხლძარღვთა სისტემის კვლევა, რისთვისაც გამოიყენა ვაკუუმური კოსტიუმი „ჩიბისი“ და სარეგისტრაციო მრავალფუნქციური აპარატურა „პოლინომ-2მ“.

ორბიტულ კომპლექსში გრძელდება საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი ექსპერიმენტი „ქლორელა“, რომელიც გუშინ დაიწყო მას შემდეგ, რაც „სოიუზ-28“ ხომალდით ატანილი წყალმცენარეთა კულტურა მასსრულებელ გარემოში გადაიტანეს.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და ეკიპაჟის მოხსენებების თანახმად, „სალუტ-6“-„სოიუზ-27“-„სოიუზ-28“ კოსმოსური კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ამხანაგები რომანენკო, გრეჩკო, გუბარევი და რემეკი თავს ჯანმრთელად და კარგად გრძნობენ. საერთაშორისო ეკიპაჟის სამუშაოთა პროგრამა დედამიწისირგვლივ ორბიტაზე წარმატებით სრულდება.

პარტიის მიერ ნაჩვენები გზით

ღეს, 5 მარტს, ორი წელი სრულდება, რაც მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სახახლეში, მუშაობა დაიმთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ. ყრილობაზე წარდგენილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში, მოხსენებაში — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებათა შესახებ, რეზოლუციასა და სხვა დოკუმენტებში ღრმად და განზოგადებულად არის მოცემული იმ გზის ნათელი დახასიათება, რომელიც წინა ხუთწლეულში ჩვენმა პარტიამ და ხალხმა გაიარა, აგრეთვე ახ რთული, პასუხსაგები გზაც, რომელიც გასავლელია მეათე ხუთწლედში.

ყრილობამ შეიმუშავა და მიიღო ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა, დასახა ახალი მიზნები, რომელთა წარმატებით დალაშქვრა და აღება კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, აამაღლებს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონეს, კიდევ უფრო განამტკიცებს, სრულყოფს სოციალისტურ დემოკრატიას, უფრო შინაარსიანს, ხალხიანს გახდის მთელ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

„— ბეგბეგი, რომლე

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მაგისტრალური მიმართულება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად და მიზანდასახულად ატარებს ისეთი სტაბილური ეკონომიკური პირობების შექმნის კურსს, რომლებიც საშუალებას აძლევენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სიმძლავრეთა სოფლის მეურნეობის განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპზე გადასვლის ძირითად მიმართულებებს. ამიტომ აქ გამოთქმულ მითითებებს და გამოტანილ დასკვნებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ისინი ფაფუძნებული უნდა იყოს ეკონომიკის განვითარების თავისებურებათა ღრმა ანალიზზე.

ყველაზე აქტუალური, ყველაზე მწვავე პრობლემაა სოფლის მეურნეობის მართვა, ხაზი გაუსვა ამხ. ჭითაძემ. უკანასკნელ წლებში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ტემპის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად, მასში არსებითი თვისებრივი ცვლილებებიც მოხდა. განსასაზღვრა ინტენსიფიკაციის კონკრეტული გზები, შეიცვალა მართვის ფორმები.

ორატორმა დაწვრილებით გააშუქა ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც უნდა გადაწყდეს მთლიანად რესპუბლიკაში, ცალკეული ზონებსა და რაიონებში, რათა წარმატებით განხორციელდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შესახებ“.

ყველა რაიონში უნდა ინერგებოდეს სოფლის მეურნეობის მართვის ახალი, პროგრესული ფორმები. ამ მხრივ განსაკუთრებით ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ბაბაშის რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება: ამ რაიონში ხომ ჯერჯერობით რესპუბლიკაში ერთადერთი სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანებაა შექმნილი.

ჩვენი რესპუბლიკა ჩამორჩება სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დონით, მაგრამ ამას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მოსაყვანი კულტურების უაღრესი სიჭრელე, რელიეფისა და ჰაერის მრავალფეროვნება, ნაადგილის ნაირგვარობა. მეორე მხრივ, ეს იმ ნაკლოვანებათა პირდაპირი შედეგია, რომლებიც სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობამ გვქონდა. ჯერჯერობით სათანადოდ არ უწყობენ ხელს სოფლის მეურნეობის წინაშე დადგმი ამოცანების გადაწყვეტას „საქსოფლტექნიკის“, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საწარმოო ქვეგანაყოფები, ჯერჯერობით ეფექტიანობით არ ინერგება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების რეკომენდაციები, არადამაკმაყოფილებლად იყენებენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის რეზერვებს, ფაბალია შრომატევადი პროცესებს მექანიზაციის დონე მთელ რიგ დარგებში.

რესპუბლიკაში შუშავებულია იმ კურსის პროგრამა და ეტაპობრივი განხორციელების ტაქტიკა, რომლის მიზანია კიდევ უფრო გაღვივითოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შესახებ“.

ყველა ჩვენ უნდა ინერგებოდეს სოფლის მეურნეობის მართვის ახალი, პროგრესული ფორმები. ამ მხრივ განსაკუთრებით ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ბაბაშის რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება: ამ რაიონში ხომ ჯერჯერობით რესპუბლიკაში ერთადერთი სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანებაა შექმნილი.

ჩვენი რესპუბლიკა ჩამორჩება სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დონით, მაგრამ ამას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მოსაყვანი კულტურების უაღრესი სიჭრელე, რელიეფისა და ჰაერის მრავალფეროვნება, ნაადგილის ნაირგვარობა. მეორე მხრივ, ეს იმ ნაკლოვანებათა პირდაპირი შედეგია, რომლებიც სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობამ გვქონდა. ჯერჯერობით სათანადოდ არ უწყობენ ხელს სოფლის მეურნეობის წინაშე დადგმი ამოცანების გადაწყვეტას „საქსოფლტექნიკის“, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საწარმოო ქვეგანაყოფები, ჯერჯერობით ეფექტიანობით არ ინერგება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების რეკომენდაციები, ფარდობითი ჩაის, ციტრუსის, ეთერზეთოვანი კულტურების, ბოსტნეულის, ვაზისა და სხვა კულტურების სპეციალიზებული მეურნეობანი, შეიქმნა სამეურნეობათაშორისო და საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის მეურნეობები, სასუქებელი მოედნები და გაერთიანებანი, პრაქტიკულად დამთავრდა მეფრინველეობის სპეციალიზაცია და კონცენტრაცია. ამაღლდა სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების ეფექტიანობა.

ამასთანავე ორატორმა აღნიშნა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არსებული ნაკლოვანებანი, ალაპარაკა მათი აღმოფხვრის გზებზე. წლითიწლობით ვერ სრულდება სიმინდის, ბოსტნეულის ჰექტარობრივი მოსავლიანობისა და მთელი მოსავლის გეგმები, ვერ არის სტაბილური მეთამბაქოეთის მთლიანი პროდუქციის ზრდა, ჩამორჩება მეცხოველეობა მთელი რიგი მაჩვენებლები. ამ და სხვა ნაკლოვანებათა აღმოფხვრა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად წარმატებით განხორციელდება ღონისძიებანი სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გარმავებისათვის.

თუ გავითვალისწინებთ აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის გაღრმავების აუცილებლობას, თქვა შემდეგ ამხ. ხინთბამ, მაშინ უფრო გულდასმით უნდა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში დაინერგოს მემცენარეობის ზოგიერთი დარგი, კერძოდ, მეხილეობა, და დავაკალოთ მათი განვითარება რაიონებს, რომელშიაც ისტორიულად მოსდგამთ თესლოვანი და კურკოვანი ხილის წარმოების ტრადიცია, ხოლო სუბტროპიკული ზონის განთავისუფლებული ფართობები მთლიანად გამოიყენოთ ციტრუსის, ჩაის, თამბაქოსა და ზოგიერთი ესეთი კულტურის მოყვანა-დამზადებისათვის, რომლებიც სხვა რაიონებში არ ხარობს. ამასთანავე, როცა მთლიანად აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ კარგად გვესმის მისი მრავალფეროვანი ხასიათის შენარჩუნების ვარდაუვალობაც. ამიტომ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ დარგისშიდა სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას, რომელთა უმეტესი ორგანიზაციულ ფორმას, როგორც ცნობილია, წარმოადგენენ საბოლოო პროდუქციის გამოსაშვებად განკუთვნილი ავროსამრეწველო საწარმოები და მეცხოველეობის ფერმები 800-1200 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის. ახლა მარტო გაერთიანება „აჭარცხოველმრეწვზე“ მოდის საზოგადოებრივ სექტორში არსებული მთელი სულადობის დაახლოებით 15 პროცენტი. ამასთანავე მკვეთრად ამაღლდა უმაღლესი და საშუალო ნასუქობის პირუტყვის ხვედრითი წონა.

უკვე მესამე წელია პროდუქციას იძლევა ხელვაჩაურის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სასათბურე მეურნეობა, რომელიც ბათუმის ნაკოინგადასამუშავებელი ქარხნის იაფი თბოენერგიით მუშაობს. ქობულეთში შენდება და გასაღა ჩადგება მწყობრში საკოლმეურნეობათაშორისო სასათბურე მეურნეობა, რომელიც 12 ჰექტარს დაიკავებს. ამის შემდეგ ძირითადად გადაიჭრება. ზამთრის პერიოდში აჭარის კურორტების პამიდორითა და კიტრით მომარაგების პრობლემა. ხელვაჩაურის რაიონში მოქმედებს საკოლმეურნეობათაშორისო მებოსტნეობის ფერმა 700 დედაბოცვრისათვის, რომელიც მცირე და არასაკმაოდ ეფექტიანი ფერმების კონცენტრაციის ბაზაზე შეიქმნა.

ამ ბოლო სამი წლის მანძილზე აჭარაში სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მოყიდვა გაიზარდა 23,3 პროცენტით, რძისა — 24,8 პროცენტით, ციტრუსის ნაყოფისა — 56,3 პროცენტით, თამბაქოსი — 12 პროცენტით, კვერცხისა — 24,1 პროცენტით.

შემდეგ ამხ. პაპუნიძემ თქვა, თუ რა უპირატესობა აქვს აგროგაერთიანებათა შექმნას. მაგალითად, თუ გადაწყდა ჩაის საბჭოთა მეურნეობა — ჩაის ფაბრიკის ან მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობა — ღვინის ქარხნის ტიპის აგროსამრეწველო კომპლექსების შექმნის საკითხი, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება, რომ წარმოება და პირველად დამუშავება დარჩეს სოფლის მეურნეობას, ხოლო მეორადი დამუშავება და რეალიზაცია — კვების მრეწველობას. სხვა უპირატესობებთან ერთად, აგროსამრეწველო გაერთიანების მიერ ამ გზით მიღებული მოგება მოხმარდება სოფლის მეურნეობის განვითარებას, გადამამუშავებელ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას; შეიქმნება საშუალებათა მანევრირების უკეთესი პირობები.

ახლა დღის წესრიგში დგას საკითხი, რომ რეორგანიზებულ იქნეს და გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის მართვის სისტემა როგორც რაიონულ რგოლებში, ისე ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით. ორატორმა მოიყვანა ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს საქმიანობის მაგალითი, სადაც 11 მეტრაციის შემდგომი განვითარების საკითხები ყურადღების ცენტრში აქვთ აჭარის პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, თქვა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. რ. პაპუნიძემ.** უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე მეურნეობათა გამსხვილების შედეგად თითოეული კოლმეურნეობის საშუალო სიდიდე გაიზარდა 2,5-ჯერ, ხოლო მთის რაიონებში — 3,2-ჯერ. მტკიცედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოლმეურნეობების გამსხვილებამ, რაიონისშიდა და მეურნეობისშიდა სპეციალიზაციასთან ერთად ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის და ტექნიკურ საშუალებათა უკეთ გამოყენებას. შექმნილია მეცხოველეობის გაერთიანებანი, ჯიშთსანაშენე და სასუქებელი საკოლმეურნეობათშორისო ფერმები 800-1200 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის. ახლა მარტო გაერთიანება „აჭარცხოველმრეწვზე“ მოდის საზოგადოებრივ სექტორში არსებული მთელი სულადობის დაახლოებით 15 პროცენტი. ამასთანავე მკვეთრად ამაღლდა უმაღლესი და საშუალო ნასუქობის პირუტყვის ხვედრითი წონა.

ბაბაშის რაიონში შექმნილი სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანება, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, დარგის ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას უზრუნველყოფს. გაჩნდა იმის ფართო შესაძლებლობა, რომ განზოგადდეს და დაინერგოს წარმოებაში შრომის პროგრესული მეთოდები, მეცნიერთა რეკომენდაციები, დანიშნულებისამებრ განაწილდეს რაიონის ფარგლებში კაპიტალური დაბანდება და ტექნიკა, გამოყენებულ იქნეს სოფლის მშრომელთა მატერიალური წახალისების ფორმები. ამასთანავე გაიზარდა მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სიმინდის წარმოება გადიდდა სამჯერ, ხოლო სახელმწიფოსათვის მიყიდვა — 5-ჯერ. თითქმის ერთისამად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. სიმინდის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 1972 წელთან შედარებით 28 ცენტნერით გადიდდა, საფუძველი ქრონის წელადობა გაიზარდა 800 კილოგრამით.

რაიონის სოფლის მეურნეობა, აღნიშნა პარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. დ. ბგელაძემ,** თანდათან გადადის სამრეწველო საფუძველზე. რაიონში მალე გადაეცემა საექსპლოატაციოდ მეცხოველეობის კომპლექსები, რომელთა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება 8 მილიონ მანეთს შეადგენს, აქ ძირითადი სამუშაოები მექანიზებული იქნება და დაუკავშირდება რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს. რა თქმა უნდა, მეცხოველეობის ამ დიდი ობიექტების მართვა და მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევა ძნელი წარმოსადგენია მაღალკვალიფიციური და გამოცდილი კადრების გარეშე. ამავე დროს რესპუბლიკაში ფეხი მოიკიდა არასწორმა პრაქტიკამ — ახალგაზრდობა, როცა უმაღლეს განათლებას მიიღებს, ცენტრალურ ორგანოებში რჩება, რაც ეწვევა ეკალფიციური სპეციალისტების თავმოყრას ქალაქად. სამინისტროებში, უწყებებში, ტრესტებში ასობით სპეციალისტია, ხოლო იქ, სადაც უშუალოდ წყდება მოსაგებები, მეცხოველეობის პროდუქტულობის ზრდის ბედი, სპეციალისტთა მწვავე ნაკლებობა იგრძნობა. ასეთ უარყოფითს მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს. საჭიროა მართვის სფეროდან წარმოების სფეროში გადაყვანა ის ადამიანები, რომელიც ნერგავთ უზრუნველყოფს ახალშენ ვენახებს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერთა დახმარებით რაიონში შექმნა აგრეთვე სასათბურე მეურნეობა, სადაც თუთის ნერგები გამოგვყავს, ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს გავაფართოოთ აბრეშუმის პარკის წარმოების საკვები ბაზა. მებოსტნეობაზეა დასპეციალებული საბჭოთა მეურნეობა, რომლის წილადაც მოდის რაიონში წარმოებული ბოსტნეული კულტურების 60 პროცენტი.

ვიმუშაოთ გონივრულად, ეკონომიკური თვალსაზრისით კვალიფიციურად

დავეუფლოთ მართვის პროგრესულ ფორმებს

გორის რაიონში სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გზით პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ გადაიდგა, აღნიშნა გორის რაიონის კომკავშირის მდივანმა **გ. ვ. გოგიაშვილმა.** რაიონში მოქმედებს ხილის, ბოსტნეულის, ბოსტნეულობის პროდუქციის საწარმოო სპეციალიზებული მეურნეობები. ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში მოგვყავს 15 სასოფლო-სამეურნეო კულტურა. დიდ ყურადღებას გვიმობთ ცალკეული კულტურების მოვლა-მოყვანას აგროუბნებში, რის შედეგადაც გაუმჯობესდა მოვლა, გაიზარდა მოსავლიანობა. შარშან საბჭოთა მეურნეობამ რეკორდული რაოდენობის ხილის მოსავალი — 5.000 ტონა მიიღო.

სპეციალიზაციამ და კონცენტრაციამ შესაძლებლობა მოგვცეს რაიონში დაგვემზადებინა რესპუბლიკის მთელ საზოგადოებრივ სექტორში დამზადებული ხილის 30 პროცენტი.

მეხილეობის ინტენსიფიკაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ჩვენი საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ ოთხწლის წლებში ხილის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 150 ცენტნერამდე გაზარდონ. სულ ოერო მეი ფართობი ეთმობა სამრეწველო საფუძველზე გაშენებულ ბაღებს. შინდისის საბჭოთა მეურნეობაში 82 ჰექტარი ასეთი ბაღები გაშენდა. ამ ეტაპ ხნის წინ შეიქმნა ტერიფონის მეხილეობის კომპლექსი.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა სამეურნეობათაშორისო მებოსტნეობის გაერთიანების შექმნის აუცილებლობა, ილაპარაკა აგრეთვე შაქრის ჭარხლის წარმოების გადიდების შესახებ, წინადადება წამოაყენა, რომ რაიონში შეიქმნას სამეურნეობათაშორისო მექანიზატორული ბაზა და განხორციელდეს მისი ინტეგრაცია აგორის შაქრის კომბინატთან.

გამოსვლაში დიდი ყურადღება დაეთმო მეცხოველეობის სპეციალიზაციის პრობლემებს. დასახულია შეიქმნას ორი სამეურნეობათაშორისო გაერთიანება — ღორის სასუქებელი და რეპროდუქტორი 500 ნეზვისათვის.

პლენუმზე გამოტანილი საკითხი, ხაზგასმით აღნიშნა პარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა **რ. ვ. მემარნიშვილმა,** იმ პრობლემათა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებიო სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გზაზე.

გამოსვლაში აღინიშნა რაიონის შრომელთა წარმატებანი, რაიონის ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებანი. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგების ინტენსიფიკაციის შედეგად საზოგადოებრივ სექტორში დაგეგმილია სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჰექტარობრივი მოსავლიანობის ზრდის მაღალი ტემპი. მაგალითად, ხუთწლედის დამლევისათვის რაიონი ჩაბარებს 44 ათას ტონა საადრეო კარტოფილს — 25-ჯერ მეტს, ვიდრე მეცხრე ხუთწლედის დამლევს ეყო.

ამჟამად ჩვენში, განაგრძო ორატორმა, არსებითად არ არის სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველო. 25 სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ხუთ რესპუბლიკურ გაერთიანებაში გადასვლამ რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველო მისი უშუალო ფუნქციები დაუკარგა. აქედან მოდის დაგეგმვის შეცდომებიც. არის შემთხვევები, როცა ერთი გაერთიანების მეურნეობებს შემცირებული გეგმები ეძლევათ, მეორე გაერთიანების მეურნეობებს კი, რომლებიც ისეთსავე პირობებში მუშაობენ, გადიდებული გეგმები აქვთ დაწესებული.

რაიონს მებოსტნეობის კონცენტრაციის დიდი შესაძლებლობანი აქვს. მიზანშეწონილია, რომ ბოსტნეულის წარმოება თავმოყრილ იქნეს ზვიდ მეურნეობაში. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ერთიორად გავზარდოთ ბოსტნეულის მოსავლიანობა, რენტაბელური გავხადოთ დარგი.

დიდი მოცულობის სამუშაოები უნდა განხორციელდეს ყურძნის, ხილის წარმოების სპეციალიზაციისათვის. სარაიონთაშორისო მელიორაციის გაერთიანების შექმნა და მისი კოოპერირება გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებთან აგროსამრეწველო ინტეგრაციის საფუძველს ჩმნის. დასახულია შეიქმნას მეღორიობის მეურნეობება. სამ საბჭოთა მეურნეობაში მოეწყობა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის სასუქებელი პუნქტები.

ამ პლენუმის გადაწყვეტილებანი, თქვა პარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველმა მდივანმა **ი. ი. მენაბდემ,** სასიკეთო გავლენას მოახდენს პარტიის რაიკომის მუშაობაზე სოფლის მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაციის ფრდმნიშვნელოვანი ამოცანის შესრულების საქმეში.

მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რგოლია მეცხოველეობა. სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენს წინაშე განსაკუთრებით მწვავედ დგას დარგის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავებ-ს საკითხი. დიდი მუშაობა მოგვიწევს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე დაგძლიოთ ჩამორჩენა; ვაქციოთ მეცხოველეობა მაღალპროდუქტიულ და შემოსავლიან დარგად.

ჩვენი აზრით, თქვა ორატორმა, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და ერთიანი ტერიტორიული პრინციპით უნდა იქმნებოდეს. ამ პრინციპის უპირატესობაა წარმოების ძირითადი საშუალებების რაციონალური გამოყენება, ეკონომიკური რესურსების მანევრირების დიდი შესაძლებლობანი.

საჭიროა, ხაზი გაუსვა შემდეგ გამოსულმა ამხანაგმა, დაჩქარდეს კოლხეთის დაბლობის დაპაბეჭდული მიწების ამოშრობის სქემის შემუშავება, რათა აქ მოეწყოს საკვებწარმოების თანამედროვე ბაზა, შეიქმნას პირობები იმისათვის, რომ შესრულდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — გადაიქცეს რაიონი მეცხოველეობის პროდუქციის უდიდეს მომწოდებლად.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო აღმავლობაში, თქვა რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა **გ. ბ. გაფელიამ,** დიდი როლი უნდა შეასრულონ სამეურნეობათაშორისო მელიორაციის გაერთიანებებმა. ამ გზით უკვე პირველი ნაბიჯები გადადგეს საგარეჯოს, გარდაბნის, ადიგენის, ასპინძის, ცაგერის, გურჯაანის, ბაბაშის რაიონებში. იქ, სადაც ასეთი გაერთიანებანი მოქმედებენ, ინრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, დიდდება მიწათმოქმედების პროდუქციის მთლიანი შემოსავალი, მაღლდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობა, მატულობს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების შემოსავალი და მოგება.

რესპუბლიკის მელიორირებული მიწების ფონდი შეადგენს 543 ათას ჰექტარს, გასაწყვეტელი სამოგზაურებია — 603 ათას ჰექტარს. ამ ფონდში მიმდინარე ხუთწლეულში შევა კიდევ 111 ათასი ჰექტარი მელიორირებული მიწა და 80 ათასი ჰექტარი გასაწყვეტელი სამოგზაური.

ხუთწლედის დამლევამდე რესპუბლიკაში სამელიორაციო სამუშაოებზე უნდა აკეთებულ-ის 543 მილიონი მანეთი — თითქმის ამდენივე, რამდენიც წინა 15 წლის მანძილზე. დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის საჭიროა კიდევ უფრო მეტად გავსებამეკიოთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უზრუნველყოთ მელიორატორები თანამედროვე მანქანებით.

გარკვეული მუშაობაა გაწეული მართვის სტრუქტურის სრულყოფის, მთელ რიგ სპეციალიზებულ ორგანიზაციათა შექმნის, საწარმოო ბაზების მშენებლობის მიზნით. იქმნება ჰიდროგეოლოგიური სამელიორაციო ექსპედიცია, რომელიც შეამუშავებს მიცნობიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს სამელიორაციო ფონდის ეფექტიანობის ამაღლებისათვის. მთავრდება სამელიორაციო მოწყობილობის შემკეთებელი ქარხნის შენებლობა, დასახულია აშენდეს მიწასათხრელი მანქანების ქარხანა.

ორატორმა დაწვრილებით გააშუქა კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი მიწების ამოშრობის საკითხები.

ჩვენი სისტემის საწარმოები, თქვა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრმა **რ. ჭ. კონცელიძემ,** ნედლეულად იყენებენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციის თითქმის ნახევარს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ყურადღებას არ აკლებენ კვების მრეწველობის შემდგომ განვითარებას და ყოველთვის დახმარებასა და მხარდაჭერას უწევენ მას. მარტო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჩვენ ავითვისეთ 150 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი, გაზრდილი ჩაის ფოთლის პირველადი გადამუშავების სიმძლავრენი 97,4 ათასი ტონით, მეღვინეობაში — ყურძნის გადამუშავებისა — 138,6 ათასი ტონით, საკონსერვო მრეწველობაში — 42 მილიონი პირობითი ქილით. ამასთანავე, გადამამუშავებელი მრეწველობის ზრდის ტემპი არ შეესაბამება ნედლეულის მზარდ მოწოდებას, განსაკუთრებით საკონსერვო მრეწველობაში.

აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება „საქეთერზეთმრეწველ“ მეურნეობებში 2,5-ჯერ გაიზარდა ეთერზეთოვანი ნედლეულის წარმოება, გადიდდა კულტურების ჰექტარობრივი მოსავლიანობა. შარშან ხუთი ათასი ჰექტარზე დამზადდა 15 ათასი ტონა ნედლეული, მაშინ, როდესაც 1971 წელს 5,4 ათასს ჰექტარზე 7 ათასი ტონა იყო მიღებული.

კვების მრეწველობის მუშაკთა განსაკუთრებული საზრუნავია ის, რომ უზრუნველყონ ქვეყანა ჩაით, მკვეთრად აამაღლონ მისი ხარისხი.

საბჭოური ხელის ჩაისსაკრეფი და ჩაისსასხლავი აპარატების შექმნასა და დანერგვას, თქვა თბილისის ქარხანა „საქსოფლმანქანის“ დირექტორმა **თ. კ. სტურუამ,** დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაის წარმოების შემდგომი ზრდისათვის. მეათე ხუთწლედის დამლევს მკვეთრად უნდა გაიზარდოს ჩაისსაკრეფი და ჩაისსასხლავი აპარატების წარმოება. ეს დიდად შეუწყობს ხელს მექანიზაციის დონის ამაღლებასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას, განსაკუთრებით რესპუბლიკ-ს მთის ზონაში.

მეჩაიეობის ტექნოლოგიის ინდუსტრიალიზაციის დიდ პერსპექტივებს გვისახავს აგროსამრეწველო გაერთიანების შექმნა. გაჩნდება ჩაის ფოთლის მოვლა-მოყვანის, კრეფის, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების პროცესების სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის შესაძლებლობა შუშაობის პროგრესული მეთოდებისა და მანქანათა კომპლექსის გამოყენების გზით.

წარმოების მუშაკები მოწოდებული არიან უზრუნველყონ სოფლის მეურნეობა მარტივი, სახმარად მოსახერხებელი მანქანებით. ქარხანა „საქსოფლმანქანაში“ იქ-

(დასასრული მე-3 გვ.)

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მაგისტრალური მიმართულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

მნება საიმისო პირობები, რომ საწარმო მთლიანად გადავიდეს სამთო მიწათმოქმედებისათვის. ნიის სუბტროპიკული და სხვა კულტურების წარმოების კომპლექსური მექანიზაციისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოშვებაზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთი მთავარი ბაზა მისი თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანა. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ბევრი რამ უნდა გაკეთდეს „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკურმა გაერთიანებამ. ამიტომაც გასაგებია ის დიდი მოთხოვნები, რომლებსაც კოლმეურნეობები, ხაბჭოთა მეურნეობები, რაიონები უყენებენ გაერთიანებას. გაერთიანების თავმჯდომარემ დ. ე. ხარიშვილმა ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელსაც „საქსოფლტექნიკის“ ქვეგანყოფილების კოლექტივები ახორციელებენ.

ძირეული ცვლილებანია შეტანილი მართვის სტრუქტურაში. 93 ქვეგანყოფილების ნაცვლად ახლა მოქმედებს 63 ქვეგანყოფილება და ორი სპეციალიზებული ტრესტი. ამან, აგრეთვე საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაბრიგადებისა და ეკონომიკური პროგნოზირების ინსტიტუტის შექმნამ გარკვეულად შეუწყო ხელი გაგრძელებინა საქმიანობის სრულყოფას. სპეციალიზაცია და კონცენტრაცია მოხდა გაერთიანების ყველა დარგში. გაუმჯობესდა ტექნიკური მომსახურებისათვის, თქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. კ. ხარაძემ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, რომელიც ცდილობს უფრო დაუახლოვდეს ცხოვრებას, უფრო სრულად მესახოროს რესპუბლიკის სამეურნეო მშენებლობას, უკანასკნელი წლებ-ს მანძილზე გააძლიერა ამ პრობლემების კვლევა, რომლებიც სოფლის მეურნეობას ეხება. ჯერ ერთი, მეცნიერებმა შეიმუშავეს კოლხეთის დაბლობის ათვისების კომპლექსური პროგრამა, მეორე, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან სახელმწიფო საწყისებზე შეიქმნა და მუშაობს მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ბიოლოგიური საფუძვლების ლაბორატორია, მესამე, აკადემიამ შეიტანა წვლილი წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში. მთლიანად აკადემიის სამეცნ-ერო დაწესებულებებში მუშავდება დაახლოებით 40 თემა, რომლებიც სოფლის მეურნეობას ეხება.

მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ არის, თუ საგნებს პლენუმზე განხილული პრობლემების დიდი მნ-შვნელობის თვალსაზრისით შევხედავთ. მეცნიერება ყურადღებით სწავლობენ სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხებს. მეცნიერები და პრაქტიკოსები მეცადინეობას ახორციელებენ წარმოებაში მეცნიერების მიღწევების დანერგვის.

ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი უკავია მეჩაიეობას, მაგრამ უკანასკნელ ხანს გაიზარდა სხვა დარგების ხვედრითი წონაც, თქვა ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კ. დ. კიკალეშვილმა. რაიონში გარკვეული მუშაობა შესრულდა სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შეიქმნა სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციები, ამიერკავკასიის ოქტომბრის რეკონსტრუქციის ორდენოსანი რკინიგზის, ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის საწარმო-ორგანიზაციათა კოლექტივებმა, აგრეთვე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, თბილისის ე. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, რუსთაველის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამომგონებლებმა, საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ბაოლქო, საქალაქო, საგზაო, გაერთიანებულმა საბჭოებმა და პირველად ორგანიზაციების შესაბამისმა საბჭოებმა.

მაგრამ, აღნიშნეს მომხსენებელმა და გამოსულმა ამხანაგებმა, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებისათვის მიმდინარე მუშაობაში ჯერ კიდევ შეამჩნევა ნაკლოვანებანი. არის საწარმოები, ორგანიზაციები, აგრეთვე სახალხო მეურნეობის მთელი დარგები, სადაც ნოვატორთა შეჯიბრება დღემდე ვერ მოუგვარებიათ ან ამ მუშაობაში ბევრია ფორმალიზმი. ასეთ საწარმოებს შორის ყირილობა, ალიანდაგი, ზუგდიდი, ფოთი, ბორჯომი, ბაკურიანი, ბაზალეთი, ბოლნისი, ხაშური, ბაღდათი, ონი, ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლაგოდეხი, ბოლნისი, ბაზალეთი, ბაკურიანი, ბორჯომი, ალიანდაგი, ზუგდიდი, ფოთი, ყირილობა.

ეს ფაქტი ადასტურებს, ამბობ-ს ამ ამხანაგებ-ი, ის, რომ ეს ადგილობრივი ორგანიზაციები ვერ ახერხებენ ადგილობრივ ბაზაზე ეფექტიანად ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარებას,



მზიურ მხარეში

საბჭოთა აფხაზეთი 57 წლისაა

„წითელი შაბათობის“ შესახებ

დიდი წარმატებებით აღინიშნა აფხაზეთში დიდი ოქტომბრის იუბილეს წელი, ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების წელი. დადმდე, 1977 წლის 20 დეკემბრისათვის შეასრულა ხუთწლედის ორი წლის დავალებანი ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობამ. ამ წლების მანძილზე გეგმის ვადაჭარბებით გამოუშვა 25,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. მარტო შარშან პროდუქციის საშუალო-სადღეღამისო გამოშვებამ 1,5 მილიონი მანეთი შეადგინა, რაც 7.6 პროცენტით აღემატება წინა წლის ოთხეს, შრომისნაყოფიერება გაიზარდა 8,5 პროცენტით.

აფხაზეთის მშრომელები დიდი ამაყოფილებით შეხვდნენ მოსკოვის საწარმოთა თანამშრომლებს, რომ 22 აპრილს, ვ. ი. ლენინის დაბადების 108 წლისთავის დღეს, მოიწყონ კომუნისტური შაბათობა. წინასწარი მონაცემებით, მუშათა ამ დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს 180 ათასზე მეტი კაცი. „წითელი შაბათობის“ დღეს ქარხნებში, ფაბრიკებში, შახტებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე შესასრულებენ მრავალი ათასი მანეთის ზეგეგმით სამუშაოებს.

გაზაფხული აღრე იწყება

გაზაფხულის დადგომასთან ერთად ცოცხლდებიან აფხაზეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრები და პლანტაციები. დაიწყო დიდი შრომითი შეტევა მეათე ხუთწლედის მესამე წლის მოსავლისათვის ბრძოლაში. მაღალი მოჯნები დაისახეს სოფლის მშრომელებმა. მათ აკისრეს ვალდებულება დაამზადონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 75 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 36 ათასი ტონა ციტრუსი, 7.500 ტონა ეთერზეთოვანი ნედლეული. ზეგეგმითი პროდუქციის გათვალისწინებით, სახელმწიფოს ჩაბარდება აგრეთვე 7.500 ტონა სიმინდის მარცვალი, 9.200 ტონა ყურძენი, 19 ათასი ტონა ხილი... 18.500 ტონა ბოსტნეული, 6.450 ტონა თამბაქო, 11 ათასი ტონა ხორცი, 11.370 ტონა რძე და 75 მილიონი ცალი კვერცხი.

აფხაზეთში თანამიმდევრულად, მიზანდასახულად ხორციელდება მყარი ეკონომიკური პირობების შექმნის კურსი, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას. სულ უფრო მეტი ტრაქტორები, მინერალური სასუქები, საშენი მასალები მიდის სოფლად, გაიზარდა სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოთა სახსრები.

ჯანმრთელობის სართულები

— **დღეს** მარტო ერთ გაგრის სანატორიუმ „კავკასიონში“, — თქვა აფხაზეთის პროფკავშირთა კურორტების მართვის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ზ. აბგაჯმა, — ისვენებს და მკურნალობს მეტი ადამიანი, ვიდრე 50 წლის წინათ აფხაზეთის ყველა ჯანმრთელობის კერაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიქმნა ძლიერი „ჯანმრთელობის ინდუსტრია“. აფხაზეთის საკურორტო ჰორიზონტები განსაზღვრულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „საქართველოს სს რესპუბლიკაში კურორტებისა და მასობრივი ტურიზმის ობიექტების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ამჟამად აფხაზეთში არის თხუთმეტამდე კლიმატური და კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი, რომლებიც სამ ჯგუფად არის დაყოფილი. ამ ჯგუფებში შედიან გაგრა, გუდაუთა და სოხუმი. გაგრის, ბიჭვინთის, ახალი ათონის კურორტები მნიშვნელობით საკავშირო კურორტებად არის აღიარებული. ამ მიუხედავად, ცისფერი ტბებისა და ლივლიკა ზოვის მახლობელი ახალი მუშაობს 176 ხანა-ტორიუმ-საკურორტო დაწესებულება, ტურისტული და გამაჯანსაღებელი ბაზა, რომლებიც წელიწადში 1,5 მილიონზე მეტ მშრომელს ემსახურებიან.

თ. ჯიბუტი,
საქ. კორ.

საქართველოს ომი-ბარში

დადგა გაზაფხული. ეს ხეურთი გადალებულია თბილისის კიროვის სახელობის პარკში.
ხ. კილაძის ფოტო.

ქართველ ხელოვანთა გამოფენა

ბრიუსელი. (საკდესის კორ.). დედაქალაქის რატუშის შენობაში გაიხსნა ქართული გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა. აქ წარმოდგენილია კერამიკის ნაგნები, ქართული ჭედურობა, ხელით ნაქსოვი ხალიჩები.

ბრიუსელელებსა და ბელგიის დედაქალაქის სტუმრებს 10 დღის მანძილზე შეეძლებათ გაეცნონ ისეთი ცნობილი ქართველი ჭედურობის ოსტატების ბრწყინვალე ნამუშევრებს, როგორიც არიან სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ირაკლი ოჩიაური, კ. გურული და გ. გაბაშვილი, კერამიკის ნაკეთობებს — რ. მეტრეველ-ჭელიძის, მ. აბაშიძის, დ. გაჩეჩილაძის და სხვათა ნახელავს.

„კულტურული ურთიერთობა ბრიუსელსა და სხვადასხვა საბჭოურ ორგანიზაციებს შორის კარგ ტრადიციად დამკვიდრდა, — განაცხადა ექსპოზიციის გახსნის ცერემონიალზე დედაქალაქის მერიის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელმა მარსელ პირონმა. — ახლანდელი გამოფენა გაგრძელებაა ამ კარგი ურთიერთობისა, რომელიც ჩვენს შორის დამყარდა. გამოფენის დამთვალიერებლები შეძლებენ ღირსეულად შეაფასონ ქართული გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა დიდებული ნამუშევრები“.

„საბჭოთა კავშირთან კულტურის დარგში ჩვენს თანამშრომლობაში უკეთეს ვერაფერს ვინატრებდი, — თქვა მარსელ პირონმა საკდესის კორესპონდენტთან ბოლოს მიცემულ ინტერვიუში. — გამოფენა მართლაც რომ შეხანშინავია. იგი მოწმობს ქართველი ერის მაღალ უძველეს და თავისთავად კულტურას“.

ვერნისაჟზე იყვნენ ქალაქის ხელისუფალთა, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, „ბელგია-სსრ კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის“ ასოციაციის ხელმძღვანელები.

ა. გალეგანოვი.

პრემია — ქართულ ტელეფილმს

ახლახან მონტე-კარლოში დამთავრდა სატელევიზიო ფილმების XVIII საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მსოფლიოს 25 ქვეყნის კინემატოგრაფისტები მონაწილეობდნენ.

ჩვენი ქვეყნის ტელევიზიამ ფესტივალზე წარადგინა ოთხი კინონამუშევარი. აქედან სამი— მხატვრული.

მათ შორის იყო ქართული სატელევიზიო ფილმი „კავკასიის ტყვე“, რომელიც ლ. ტოლსტოის ცნობილი მოთხრობის მიხედვით გადაიღო რეჟისორმა გ. კალატოზიშვილმა (სცენარის ავტორები— გ. ბადრაძე და გ. კალატოზიშვილი, ოპერატორი დ. სხირტლაძე).

როგორც რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ე. ანდრიკანისი გაზეთ „სოვეტსკაია კულტურაში“, წერს, „რეჟისორ გიორგი კალატოზიშვილის ტელეფილმმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. „კავკასიის ტყვეს“ ერთხმად მიანიჭეს საერთაშორისო კრიტიკის ეიფორის დიდი პრიზი. განსაკუთრებით გამოყოფდნენ რეჟისორის, ოპერატორისა და მთავარი როლის შემსრულებლის, მსახიობ იური ნაზაროვის შესანიშნავ ნამუშევარს, ამასთან, მოსწავლე ლ. ოშვეროვას, რომელმაც შექმნა ამაღლებული სახე ქართველი გოგონისი, ტყვეობიდან გაქცევაში რომ დაეხმარა რუს ოფიცერს“.

ბოსკოვის კომბინატმა გამოუშვა

ბოსკოვის კვების კომბინატმა გამოუშვა გასახსნელი ჩაის ფუნთლის საცდელი პარტია, რომლის დამზადების ტექნოლოგია შეიმუშავა საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ჩაიმ“ ანასეულის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ჩაისთან“ ერთად. ახალმა პროდუქტმა სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა და მას რეკომენდაცია მიეცა მასობრივი გამოშვებისათვის. ამისათვის ბათუმში დაიწყო სპეციალური საწარმოს აგება, რომლის თავდაპირველი წლიური სიმძლავრე 3.000 ტონა ჩაი იქნება.

ი. ღანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ლაბორატორიის ...ბრის ...ბლიკის ...ს ...ალინული კომიტეტის თავმჯდომარე, სკკპ წევრი 1944 წლიდან, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი იოსებ პეტრეს ძე დანელია.

ი. დანელია დაიბადა 1920 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლუხაინდრიგოში. იგი დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილეა. 1955 წელს სსრ კავშირის დამზადების ხალინისტროს მოსკოვის უმაღლესი ეკონომიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში, იყო პარტიის ბოლნისის რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრი, რაისაბჭოს დეპუტატი, 1963 წლიდან გარდაცვალებამდე სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეა. ი. დანელია დაჯილდოებული იყო ორდენებით და მედლებით.

პრინციპული მუშაკის და გულისხმიერი ადამიანის ნათელი სახე მარად დარჩება ამათ გულში, ვინც მას იცნობდა.

ამხანაგების ჯგუფი.

დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 3 მარტის ბრძანებულებით აქტიური სამხედრო-საშეფო მუშაობისათვის და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები. მათ შორის ხვენი რესპუბლიკიდან „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია დიმიტრი ხიმონის ძე მჭედლიძე — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამხედრო-საშეფო კომისიის თავმჯდომარე.

ЗИМНЯЯ СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР 1978

ფრიალებს სპარტაკიადის ალამი

ბაკურიანი, 3 მარტი. (საქინფორმის სპეც. კორ. ი. გორგლოვი). ამ მზიან დაბაში დღეს აფრიალდა სსრ კავშირის ხალხთა IV ზამთრის სპარტაკიადის ალამი.

სპორტული საზეიმო ნაირფერი ალმებით მორთულ 70-მეტრიანი ტრამპლინის ძირას რამწკრივდნენ ალუმის მონაყოლნი. ესენი არიან 12 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვის და ლენინგრადის წარმომადგენლები.

მათ მიესალმა სსრ კავშირის ხალხთა IV ზამთრის სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ჩერძეზია. მან თქვა, რომ სსრ კავშირის ხალხთა ხპარტაკიადები სპორტის ეანვითარებაში მიღწეული წარმატებების დათვალიერება, მაღალი სპორტული ოსტატობის დემონსტრაცია, ძალის, სინაზეს, ხალამაზის დღესასწაულია.

დეგება საზეიმო წუთი. ექვსმა ცნობილმა სამთო მოთხილამურემ ფლაგშტოკთან მიიტანა სსრ კავშირის ხალხთაშორისო ალამი.

ეღერს საბჭოთა „კავშირის ჰიმნი. ნელ-ნელა წითელი ტილო მაღლა მიიწევს. ჰიმნის უკანასკნელ აკორდებში სსრ კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის გამარჯვეულმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბაკურიანელმა კ. წაქაძემ აანთო სპარტაკიადის ცეცხლი. ეს ჩირაღდანი აქ იგრო დღეს ენთება.

4 მარტს გაიმართა შეჯიბრება სწრაფდაწვებაში. იუნიორთა შორის თავი ინახელა საქართველოს წარმომადგენელმა 18 წლის ვიქტორ სანაკოევმა. მან ყველას აჯობა (1 წუთი და 38,11 წამი) და ხპარტაკიადის ოქროს მედალი მოიპოვა. უფროსებს შორის უძლიერესი იყო კემეროვოელი ვლადიმერ მაკეევი (1 წუთი და 33,50 წამი).

ლაპარაკობს მსოფლიო ჩემპიონის მეტოქე

გორი, 3 მარტი (საკდესის კორესპონდენტი ე. ბაშმაჩნიკოვი). „ბედნიერი ვარ, რომ ბრძოლა მოვიგე ესოდენ ძლიერ გამოცდილ მეტოქესთან.“ ასეთი იყო ნიჭიერი ახალგაზრდა საბჭოთა მოჭადრაკის მაია ჩიბურდანიძის პირველი სიტყვები მას შემდეგ, რაც დასავლეთ გერმანიის ქალაქ ბად-კისინგენში მისი გამარჯვებით დამთავრდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩი ალა კუშნირთან.

— ძნელია ერთბაშად ვიპოვო სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ იმას, რასაც ახლა განვიცდი, — განაგრძო მაიამ. მაგრამ, ჩემი აზრით, უფინარეს ყოველსა, უნდა ვთქვა, რომ ბევრი რამ ვასწავლე ქუთაისის პიონერთა სასახლის საქადრაკო სექციაში, თბილისს უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლაში, მწვრთნელთან ინდივიდუალური მეცადინეობის დროს.

მაიამ მაღლობა უძღვნა ყველას, ვინც ბად-კისინგენში უგზავნიდა ლეტრებს, ურეკავდა ტელეფონით, საერთოდ ყოველნაირად ამხნევებდა.

ანატოლი კარპოვის პირველი დამარცხება

ბელგრადი, 4 მარტი. (საკდესი). იუგოსლავიის ქალაქ ბუგოინოში მიმდინარე მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის მეხუთე ტურში დამთავრდა მხოლოდ სამი პარტია: ტიმანმა მოიგო კარპოვის, ლუბოიევიჩმა — ბირხს, ტალი და პორტიში ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

ახლა წინ არიან ტიმანი, ტალი და ლუბოევიჩი, რომლებმაც სამ-სამი ქულა მოაგროვეს. კარპოვი მეხუთე ტურში დამარცხების შემდეგ მათ 0,5 ქულით ჩამორჩება, თუმცა მას ერთი პარტია სათამაშო აქვს ბალაშოვთან. ასევე 2,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ სპასკის, ივკოვსა და ფაილსს.

ფეხგუთის ამგეგი

ესპანეთის ორ ქალაქში საბჭოთა ფეხბურთელების მონაწილეობით ორი მატჩი მოეწყო. სსრ კავშირის ნაკრებმა ბილბაოში ამხანაგური შეხვედრა გამართა ბასკეთის გუნდთან, რომელიც სამი კლუბის მოთამაშეებით იყო შედგენილი. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

ასეთივე ანგარიში იყო ფესსირებული სევილიაში მოსკოვის „დინამოსა“ და „რეალ-ბეტისის“ მატჩში. ევროპის ჩემპიონების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაა განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრა მოსკოველებს და სევილიელებს შორის მოეწყობა 15 მარტს თბილისში.

ქუთაისში ადგილობრივმა „ტორპედომ“ საკავშირო თასის გათამაშების პირველი ოცდამეთორმეტედფინალური მატჩი მოუგო სვერდლოვსკის „ურალმაშს“ — 2:0. პირველ ტაიმში ორივე გოლი გაიტანა ბურკაძემ.

ადლერში გაიმართა პირველი ოცდამეთორმეტედფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე ვილნიუსის „ჟალგირისსა“ და გროზნოს „თერეკს“ შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ლენინაკანში თბილისის „დინამომ“ გუშინ საკონტროლო შეხვედრა გამართა ოდესის „ჩერნომორეცთან“ მატჩი მოიგეს ოდესელებმა ანგარიშით 1:0 (0:0). აღსანიშნავია, რომ ჭორიძემ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი სიჯარიმო.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით თამაშობს: გოგია, ჯოსტავა, ყანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ხიზანიშვილი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე (ქორაძე), კოპალეიშვილი, გუცაევი, დარასელია, შენგელია.

ტელევიზია

5 მარტი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — „კინონარკვევი, 09.40 — დოკუმენტური ფილმი „ურალი“ —ოქროს მიწა“ (ქართულ ენაზე), 10.00 — ტელეგაზეთი „ალთათვის“ — ქართული ენა, 10.30 — „მადვიძარა“ (მოსკოვიდან), 11.00 — შეგასწავლოთ რუსული ენა, 11.45 — „საბჭოდრაკოსკოლა“, 12.05 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 12.25 — „ოსტალეკოთვის „ასალგაზრდა მუზის ფილარმონია“, 13.10 — „ბუნებილი საუბარი, 14.00 — საბჭოთა კავშირის პირველობა კრივში. ფინალი, პირველობა რეპერტაჟი სპორტის სასახლიდან (ვადაცემა ცენტრალური ტელევიზიისათვის), 17.00 — „ჩვენი სოფელი“ — სატელევიზიო პროგრამა, 17.40 — „ეუსიკალური შესვენება, 17.45 — „საერთაშორისო პანორამა“ (მოსკოვიდან), 18.15 — მოსწავლეთათვის — „წიგნის მოყვარულთა კლუბი“, 18.45 — „კინოფაფაში“, 19.15 — „კინოშოგზაურობის კლუბი“ (მოსკოვიდან), 20.15 — „ქალის სახე ეკრანზე“, 21.00 — „ეოაბეზ“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — ცეკვა ლატვია ფოჩიანი (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „კინოს მოყვარულთათვის“.

6 მარტი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — კინონარკვევი, 17.15 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის — ბიოლოგია, 17.45 — „წიგნის მოყვარულთათვის“ — უცხოელის ლიტერატურის საკავშირო სახელმწიფო ბიბლიოთეკის მკითხველთა შეხვედრა კოსმონავტებთან, მეცნიერებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან (მოსკოვიდან), 19.00 — „პარტიული ცხოვრება“ — „ბეჭმა და დისციპლინა“, 19.25— „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 19.45— „წელი მისამე — წელი დამკვიდრული“ (მოსკოვიდან), 20.30 — „ეერნისაჟი“, 21.00 „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — „ეკრანი ბრალს დებს“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „ქართველი კომპოზიტორი ქალები“ (ფერადი).

თეატრი

5 მარტი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (დღისით), ბედის ტბა (საღამოს); შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თავისუფალი თემა (დღისით), საბარალდეგო დასკვნა (საღამოს); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ივთიმ გურჯი (დღისით), კვაჭი კვაჭანტირაძე (საღამოს); ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — არშინ მალალან (დღისით). ქალაქში დადის მომავალი (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — გამარჯვების ღვინილი; ახალგაზრდული დრამატული თეატრი სტუდია — მოსაწყენი დღეების ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
გ. გოგიაშვილი.

საქართველოს სსრ ...ბის ...ბლიკის ...ს ...ალინული კომიტეტის

...ბლიკური ...ბლიკა

...ბლიკა ...ბ ...ბ ...ბ